ტვინების ბრძოლა
საქალაქო ჩემპიონატი | გაზაფხული 2025
U8 (VI, VII, VIII კლასები)

12 აპრილი

1. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი **ეგვიპტოლოგის** განმარტებით, ცნობილ **ღირსშესანიშნაობას იქსი მოტეხა გაბრაზებულმა** ადამიანმა, რომელიც ვერ ხვდებოდა, რატომ **ეთაყვანებოდნენ** ამ **ქანდაკებას**. **ჰარი პოტერის** ფილმების სერიაში ცნობილ **ბოროტმოქმედს** ასევე **არ აქვს იქსი**. დაწერეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: ცხვირი
კომენტარი: პირველ ნაწილში საუბარი იყო ეგვიპტეში მდებარე სფინქსის ქანდაკებაზე, რომელსაც ცხვირი არ აქვს. "ჰარი პოტერის" სერიებში ვხვდებით ბოროტმოქმედ ლორდ ვოლდემორს, რომელსაც ასევე არ აქვს ცხვირი.
წყარო: https://www.youtube.com/watch?v=E7oEq6CE78g

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთ წიგნში აღწერილია ქალაქი, რომელშიც სხვადასხვა სახეობის საჭმელი უკვე **აღარ იშოვება**. მაცხოვრებლები უმეტესად მიირთმევენ **სხვადასხვანაირად მომზადებულ იქსს - მოხარშულს**, **შემწვარს**, **გამომცხვარს** და ასე შემდეგ. ოქროს ციებ-ცხელების დროს, იქსი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას **იმავე წონის ოქროში** ცვლიდნენ, რაც იქსის **ფერის** გათვალისწინებით კიდევ უფრო **სიმბოლურია**. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: კარტოფილი
კომენტარი: კარტოფილი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საჭმელია და მისი მომზადება მრავალი მეთოდით ხდება. ოქროსფერ კარტოფილს კლონდაიკის ოქროს ციებ-ცხელების დროს იმავე წონის ოქროში ცვლიდნენ, რადგან C ვიტამინის შემცველობის გამო, ძალიან საჭირო პროდუქტი იყო.
წყარო: Jeanne DuPrau "The City of Ember"; ბმული

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ნაწარმოებში, **ალბინოსი** პერსონაჟი თავს ადარებს **იქსს**, რადგან **მზეში გასვლა არ შეუძლია**. **ლეგენდის თანახმად,** იქსებს არა მხოლოდ **ღამურებად**, არამედ **ვირთხებად** და **მგლებად** გადაქცევაც შეუძლიათ. დაწერეთ იქსი.

პასუხი: ვამპირი
კომენტარი: ვამპირები მითიური არსებები არიან, რომლებსაც არ შეუძლიათ მზის შუქზე გადაადგილება. ვამპირები მჭიდრო კავშირში არიან ღამურებთან, თუმცა ზოგიერთი ლეგენდის მიხედვით, მაგალითად მგლად გადაქცევაც შეუძლიათ.
წყარო: Captain Fall S1E5 ; https://www.beano.com/facts/film-and-tv/vampire-facts-2

4. 5-ქულიანი შეკითხვა

ძველ დროში, **ტრადიციულ დანიშნულებასთან ერთად**, **ხელთათმანი** ასევე გამოიყენებოდა **იქსის დასანიშნავადაც**. **მე-19 საუკუნის ცნობილი ნაწარმოების** პერსონაჟს **ახალ ქალაქში** ჩასვლის პირველივე დღეს **ერთზე მეტი იქსის** ჩანიშვნა მოუწევს. დაასახელეთ იქსი ერთი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: დუელი
კომენტარი: ძველად დუელის დანიშვნის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი იყო მოწინააღმდეგის წინ ხელთათმანის დაგდება. "სამი მუშკეტერის" დასაწყისში დ'არტანიანს ერთდროულად სამ დუელს დაუნიშნავენ.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

უძველესი თამაშის, სახელად **მორას** მოთამაშეებმა **ერთდროულად** უნდა **გაშალონ თითების** წინასწარ ჩაფიქრებული **რაოდენობა**. თითოეული მოთამაშის მიზანია, **გამოიცნოს გაშლილი თითების ჯამური რაოდენობა**. საინტერესოა, რომ ძველ საბერძნეთში მორა **გაცილებით ადრე** გამოიყენებოდა **პრობლემების გადასაჭრელად**, ვიდრე **იქსი**. დაასახელეთ იქსი **ერთი** ან **სამი** სიტყვით.

პასუხი: ქვა, მაკრატელი, ქაღალდი
ჩათვლა: ჯეირანი
კომენტარი: დარიგებული მასალიდანაც ჩანს, რომ მორა ხელის მოძრაობებზე დაფუძნებული თამაშია და მისი პრინციპის თანახმად, ორი ან მეტი მოთამაშე ერთდროულად გაშლის თითების სასურველ რაოდენობას. საინტერესოა, რომ ეს თამაში უფრო ადრე გამოიყენებოდა საკამათო სიტუაციების გადასაჭრელად, ვიდრე ქვა, მაკრატელი, ქაღალდი.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ნინტენდოს თანამშრომელმა შიგერუ მიამოტომ, არაერთი წარმატებული თამაში შექმნა და კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა. მიამოტოს ჯანმრთელობის გაფრთხილების მიზნით, კომპანიამ მას აუკრძალა სამსახურში იქსით სიარული. სინამდვილეში იქსის გამოყენებას ბევრი დადებითი მხარე აქვს, მაგალითად, ერთი ავტომობილის ადგილას დაახლოებით 15 იქსი ეტევა, რაც საპარკინგე ადგილების პრობლემას გადაჭრიდა. დაასახელეთ იქსი ათასოიანი სიტყვით.

პასუხი: ველოსიპედი
კომენტარი: შიგერუ მიამოტო სამსახურში ველოსიპედით მიდიოდა, თუმცა მას ეს აუკრძალეს, რათა ავარიაში მძიმედ არ დაშავებულიყო. ველოსიპედი გაცილებით უფრო ეფექტური გადაადგილების საშუალებაა, ვიდრე ავტომობილი, რადგან გაცილებით ნაკლებ ადგილს იკავებს, თუმცა, სამწუხაროდ, ყველა ქალაქის რელიეფი არ იძლევა კომფორტულად მოძრაობის საშუალებას.

წყარო:
https://www.mentalfloss.com/article/71002/17-fascinating-facts-about-nintendo-legend-shigeru-miyamoto

7. 5-ქულიანი შეკითხვა
ფანტასტიკური ნაწარმოების პერსონაჟები, რომლებიც პირველად ხვდებიან დედამიწის ზედაპირზე, იქსს ადარებენ ვერცხლისფერ ნათურას. იქსზე გოლფიც კი აქვთ ნათამაშები, რაც გასაკვირი სულაც არაა, რადგან იქსზე უამრავი გიგანტური ხვრელია. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: მთვარე
კომენტარი: პერსონაჟები დედამიწაზე ღამით აღმოჩნდნენ და მთვარე შეადარეს ვერცხლისფერ ნათურას. ასტრონავტ ალან შეპარდს მთვარეზე გოლფი აქვს ნათამაშები, იმის გათვალისწინებით, რომ მთვარე სავსეა კრატერებით, ალბათ ბურთი რომელიმე ხვრელში მოათავსა კიდეც.
წყარო: Jeanne DuPrau “The City of Ember” ; ბმული

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

კომპანია “**ბერგის**” მიერ წარმოებული **წყალი** სტანდარტულ წყალთან შედარებით საკმაოდ **ძვირი ღირს**. საქმე ისაა, რომ ამ წყალს **პირდაპირ იქსიდან მოიპოვებენ**. დაწერეთ იქსით შეცვლილი **უცხოური** სიტყვა.

პასუხი: აისბერგი
კომენტარი: სახელიდანაც ჩანს, რომ კომპანია წყალს აისბერგებიდან მოიპოვებს. აისბერგი უცხოური სიტყვაა და ქართულად შეგვიძლია ყინულის მთად ვთარგმნოთ.
წყარო: https://www.aquamaestro.com/product-category/berg/

9. 7-ქულიანი შეკითხვა
აშშ-ის პრეზიდენტის, მარტინ ვან ბურენის მეტსახელი იყო Old Kinderhook [ოლდ კინდერჰუკი]. 1841 წლის არჩევნებამდე, როდესაც ვან ბურენი იბრძოდა მეორე ვადით მოსვლისთვის, მისმა მხარდამჭერებმა დაიწყეს მოკლე სიტყვის გამოყენება, იმის აღსანიშნად, რომ აშშ-ში ყველაფერი კარგად იყო. დაწერეთ ეს მოკლე ინგლისური სიტყვა.

პასუხი: OK
კომენტარი: მხარდამჭერებმა ვან ბურენის მეტსახელის პირველი ასოები აიღეს და კამპანიისთვის სიტყვა OK გამოიყენეს, რითაც ხაზი გაუსვეს, რომ ყველაფერი რიგზე იყო.
წყარო: ბმული ; https://www.youtube.com/watch?v=1UnIDL-eHOs

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთ სერიალში, ისლანდიაში მიმავალი პერსონაჟი დაიწუწუნებს და ინატრებს, ნეტა იქსზე მივფრინავდეო, რა დროსაც სხვა პერსონაჟი აუხსნის, რომ სახელის მიუხედავად, იქსი ისლანდიაზე უფრო ცივი ადგილიც კია. დაწერეთ იქსით შეცვლილი კუნძული.

პასუხი: გრენლანდია

კომენტარი: სახელი “ისლანდია” შეგვიძლია ვთარგმნოთ, როგორც ყინულის მიწა, რის გამოც პერსონაჟი დაიწუწუნებს და ინატრებს გრენლანდიაზე გაფრენას. მიუხედავად იმისა, რომ გრენლანდიის სახელი ითარგმნება როგორც მწვანე მიწა, ის კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს ვიდრე ისლანდია და შესაბამისად უფრო მეტად ცივა.
წყარო: Carmen Sandiego S3E4

11. 6-ქულიანი შეკითხვა
ენციკლოპედია ბრიტანიკა “იქსს” მოიხსენიებს, როგორც პირველ თანამედროვე რომანს. წიგნში “სამი მუშკეტერი” დ’არტანიანი 18 წლის იქსთან არის შედარებული. დაასახელეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: დონ კიხოტი
კომენტარი: შეკითხვის პირველ ნაწილში საუბარი იყო სერვანტესის ცნობილი რომანის სათაურზე, მეორე ნაწილში კი - ამავე რომანის მთავარ პერსონაჟზე. ნაწარმოები “დონ კიხოტი” პირველ თანამედროვე რომანად ითვლება. დიუმა დ’არტანიანს ახალგაზრდა დონ კიხოტს ადარებს.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
იმის გამო, რომ ხშირად ჭარხალს უმატებენ, იქსის მწნილი, იქსისთვის არადამახასიათებელი ფერის გამოდის. ერთ წიგნში იქსს ადარებენ ახალშობილი ბავშვის თავს. დაასახელეთ იქსით შეცვლილი ბოსტნეული.

პასუხი: კომბოსტო
კომენტარი: კომბოსტოს მწნილი ხშირად კომბოსტოსთვის არასახასიათო, მოვარდისფრო-მოწითალო ფერს ატარებს, რაც ჭარხლის დამსახურებაა. სიმბოლურია, რომ ერთ წიგნში კომბოსტოს ადარებენ ახალშობილი ბავშვის თავს, რადგან ერთი ვერსიით, ახალშობილები, სწორედ კომბოსტოდან იბადებიან.
წყარო: Jeanne DuPrau “The City of Ember”

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ასეთი იქსების ბეწვს, სპეციალური შემადგენლობა აქვს, რის გამოც ბეწვი არ იყინება მაშინაც კი, როდესაც ასეთი იქსები ცივ წყალში ხტებიან სანადიროდ. ასეთი იქსი ჰქვია ნამცხვარს, რომლის ინგრედიენტებიცაა ვანილი, კარაქი და შესქელებული რძე. დაწერეთ ორი სიტყვა, რომელიც ასეთი იქსით შევცვალეთ.

პასუხი: თეთრი დათვი
კომენტარი: თეთრი დათვები უკიდურეს სიცივეში ცხოვრობენ და ცივ წყალშიც ხშირად უწევთ ნადირობა, ამიტომ მნიშვნელოვანია რომ ბეწვი არ გაეყინოთ. ჩვენ ჩამოვთვალეთ ის თეთრი ინგრედიენტები, რომელიც ნაცხვარ “თეთრი დათვის” შემადგენლობაში შედის.

წყარო: https://www.npr.org/2025/02/04/nx-s1-5279474/why-polar-bear-fur-doesnt-freeze
https://gemrielia.ge/recipe/2932-TeTri-daTvi/

14. 6-ქულიანი შეკითხვა

პროფესიონალ მევიოლინეს, დაგმარ ტარნერს, 2020 წელს დასჭირდა საკმაოდ რთული იქსი. მას სთხოვეს, იქსის განმავლობაში დაეკრა ვიოლინოზე, რათა დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ მისი მუსიკალური შესაძლებლობები იქსის შემდეგაც დაუზიანებელი დარჩებოდა. დაასახელეთ იქსი რვაასოიანი სიტყვით.

პასუხი: ოპერაცია
კომენტარი: მევიოლინეს თავის ტვინის რთული ოპერაცია დასჭირდა, თუმცა ოპერაციის დროს მხოლოდ ადგილობრივი ანესთეზია გამოიყენეს, რათა მუსიკოსს ვიოლინოზე დაეკრა და ექიმები დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ მისი შესაძლებლობები არ ზიანდებოდა ქირურგიული ჩარევის შედეგად.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
სუპერგმირ "ფანტომის" კოსტუმი, მამიდან შვილზე გადადიოდა, რისი დახმარებითაც "ფანტომი" გმირულ საქმეებს რამდენიმე ასეული წლის მანძილზე სჩადიოდა. მათ, ვინც "ფანტომის" ეს საიდუმლო არ იცოდა, "ფანტომი" ეგონათ იქსი. ბერძნული მითოლოგიის გმირი აქილევსი, იმიტომ ვერ გახდა იქსი, რომ მისი ქუსლი არ შეხებია მდინარე სტიქსს და მის სუსტ წერტილად იქცა. დაწერეთ იქსით შეცვლილი სიტყვა.

პასუხი: უკვდავი
კომენტარი: ფანტომი ასეულობით წლის მანძილზე ეწეოდა სუპერგმირულ საქმიანობას, რის გამოც ხალხს ის უკვდავი ეგონა. აქილევსი, დედამ მდინარე სტიქსში ჩაუშვა, რათა უკვდავი გამხდარიყო, თუმცა ამ დროს ქუსლით ეჭირა და სწორედ ქუსლი გახდა მისი სუსტი წერტილიც.
წყარო: https://www.youtube.com/watch?v=VnYZgX_PpyE